


ბლესსა მასწავლელს ანდანი, — დაჯდუ და წიგნი ვიკითხო, მაგიტომ ვეყენის

# ჩემი საქმე.



1920 წ.

პირველი პერიოდული მუსიკალური ფურცელი.

20 აპრილი.

მუსიკოსებო, მგონებო, მსახივრობო — დაუახლოვდით ხალხს, მიუძაგრეთ მას ნდობით და სიყვარულით, მიუძღვინით ხელოვნების წმინდა საწინდარი და ხალხიც დააფასებს ამ თქვენ ღვაწლს და მარადისობას გადასცემს თქვენ კეთილ საქმიანს, საქმე — საღიდეგლად.

## მოსხმეტიალე მუსიკოსის ნაწერებიდან.

### ორი არლანი.

(ჩვენი თანამედროვე მუსიკალურ ცხოვრებიდან).

მაისის გრილი დილა იყო. თბილისის სადგურის კახეთის რკინის გზის ბაქანზე ვიდექ და ველოდი მესამე ზარს.

მგზავრებს მატარებელზე იერიში მიჰქონდათ, რიგით შესვლის აღარ აცდიდნენ, ჩქარობდნენ, ბრაზობდნენ, ილან-ილანობდნენ, აწვებოდნენ, უმუჯღუფებდნენ, ტიკტორები ხუროჯინებით, კალათებით, კოლოფებით და ტომარებით ერთმანეთს თავზე ალაჯებდნენ, ერთმანეთს, ფეხებში უძვებოდნენ.

მატარებელი კი ჩუმად იდგა და ყველას ითმენდა, და ყველას იტანდა.

კონდუქტორებიც აქა-იქ იდგნენ და ბილეთებს ხვრეტდნენ, და ბილეთებს ჰკრეკდნენ.

— ასტარუქნა! — დაიღრიალეს ბარგთ მზიდველებმა და გამოაქანეს მგზავრთა ფეხებში მორახრახე, სამ-თვლიანი თუჯის ჯაგლაგი, ბარგი-ბარხანით რვა სართულად დატვირთული.

მივიხედე, მაგრამ... ნეტავ არ მიმსვენდა, — ერთ ზორბა, ზაქივით შავ „ძმა-ბიქს“ ცალი ხელით ჰაერში აეწია უზარ-მაზარი ფუნჯიანი არლანი და ვილაკას აწვდიდა მატარებელში. არლანი გადმოტრიალდა, მოელაქეუა კონდუქტორს და ქუდი თავიდან ძირს გადმოუგდო.

— ნეტავ სად მიაქვთ?

არლანი შეიტანეს. „ძმა-ბიქი“ მოტრიალდა, ვილაკას დაეჯახა, წააქცია, დაუყვირა, შეუტია, ისევ დაიკუზა და... ნეტავ არ დაკუზულიყო, — წამოავლო ხელი იმაზე გაცილებით უფრო დიდ არლანს და, ეხლა-კი ორი ხელით მგზავრთა თავებზე, გადააწოდა მატარებელში.

მატარებელი კი ჩუმად იდგა და ყველას ითმენდა, და ყველას იტანდა.

კონდუქტორებიც აქა-იქ იდგნენ, და ბილეთებს ხვრეტდნენ, და ბილეთებს ჰკრეკდნენ.

— ასტარუქნა! — დამაჯახეს გვერდში თუჯის ჯაგლაგი, ადგილიდან დავიძარ, ფეხი წავდგი წინ და მიველ კონდუქტორთან.

— სად მიაქვთ ეგ ორი არლანი? — შევეკითხე სასოწარკვეთილებით.

— თელავში — აწითლდა მოპასუხე.

— მგზავრთა ვაგონით?

— არლნებზე კაცის ბილეთი აქვთ აღებული.

— როგორ?.. განა ეგეც შესაძლოა?

— რატომაც არა?.. დი... ი... ახ! — გადმოაფურთხა კონდუქტორმა

მე გამეღიმა, მან გაიცინა. ვერაფერი გავიგე. ვკითხე მეორეს.

— მართალია, ეგ „ბაგაქნი“ გახლავთ, მაგრამ, რად-განაც პასაჟირი მავას თავს ვერ დაანებებს, ნება ეძლევა ერთი მთელ ბილეთით თან შეიტანოს.

მე გამეღიმა, მან გაიცინა, მაგრამ მე მაინც ვერაფერი ვერ გავიგე.

მატარებელმა კი ყველა გაიგო, მოთმინებიდან გამოსულმა, ერთი გულიანათ ამოიხსრა, შეინძრა და მოჰყვა ისეთ ყროყინს, რომ მთელ სადგურის არე-მარემ მას ზანზარით ბანი მისცა. ზარმაც აჩქარებით ჩამოუკრა სამი და ხმა გაჰკმინდა. ორთქლმავალმა დიქნიში, წამოდორბლა, ჩაიკეცა და მიმედ გასწია უღელს. თავზარ დაცემული კახელებიც გიჟებივით შეცვივდნენ ვაგონებში, ზოგნიც ერთმანეთს ფუტკრებივით ჩამოეკიდნენ საფეხურებზე.

წავლა მატარებელი, წარახრახდა... მეც და არლნებიც თან წავგიყვანა.

თელავში, თელავს... მაშ თელავში მიაქვთ! ალბათ იქ ჯერ არაფის უნახავს?

მომავონდა თელავი, მომავონდა კურდღელაური და გზის პირას ჩასაფრებული სამი დუქანი. აქვე წყარო ჩამოჩხრიალდეს. წყაროში სამი „ტაბურეტკა“ სდგას, ერთზე-ყველი, პური, მწვანილი და სველი სელია, ორზე-პურანგ ამოღელილი, ყმებ ამოპარსულნი, წვერებ ჩამოთათხულნი, შარვალ ამოჩაჩულნი, თმებ გაბურძგნულნი და შლიაპებ ჩამოფხატულნი ფეხშიშველა მფარლენი ზიან. ზიან და ერთმანეთს ღვინოს ასმევენ, ზიან და ცივ წყალში ფეხებს აქნევენ.

— დალიე, მუდრ... რ... ეგ! დალიე მეთქი!.. ამაზე მეტი ჩვენ რა შეგვრჩება?

— ჰაი... ჰაი!.. არაფერი. მახლავს!.. პასაჟირიც რომ აღარ მოდის? — ამოამთქნარა.

— მოვა... ხათრი ჯამათ იყავ.

თელავის მე წინად ხშირი სტუმარი ვეყოფილვარ: მიზიდავს მისი ცივი და კამკამა წყაროები, მიზიდავს ნახი, ფერ მიმკრთალი მისი ბუნება, მიზიდავს მეგობარი, რომელთანაც მუდამ ჩამოვხტები ხოლმე, — მეგობარს უამბობ ჩემ გულის დარდებს, — ის მანუგეშებს, მამნევენებს და მიაღერებს.



დასურათხატება მხატვ. ალ. ციმაკურიძისა.

ერთ ზაფხულს გავწიე ალაზნის გაღმა, სოფლების შემოსავლელად. საცვლები თვლებ შუა, ზურგზე ვიოლინი,



ხელში „ფურცლები“ და თითონაც ველოსიპედზე. „შტაბს-კვარტირად“ ამოვირჩიე ნახი თელავი.

დაღლილ-დაქანცული, ნაწვალვებ-გატანჯული შილდის, ყვარელის, ახალსოფლის, ლავადების და ქვემო-მაჩხანის „ლექცია-კონცერტებით“ ხანტად მოვავაგობდი რეზინის თვლებს თელავის სადგურიდან. წამომეწია შხაბუნა წვიმა, ფოთლიან მოზრდილ ხეს ამოვეფუარე.

— შვილო, შვილო! აგრემც გენაცვლები, მითხრა, ვინა ხარ?—ამათვალ-ჩამომათვალეირა, მიმშინჯ-მომშინჯა იქ, ჩემზე ადრე მისულმა, დედაბერმა და დაღრეჯით შემეკითხა.

— ქართველი ვარ, დედი! ნამდვილი გარე-კახელი.

— ა...ო...ო! მერე ეგ რა გკილია უკან?—მიმითითა ცნობის მოყვარეობით ზურგს უკან მხარზე გადაგდებულ ვიოლინოზე.

— ვიოლინო... ქიანურივით მუსიკალური საკრავია.

— მერე რას დაგაქვს? ეგ რაღა გაცვია შვილო?.. ჯამბაზი ხარ? ამიწია გრძელი, შავი ფრჩხილებით, და დაუწყაო ჩქმეტა ჩემ სამგზავრო ტანისამოსს — რეზინია, შვილო?

— არა დედი, მოქსოვილია! მაგას ტრიკო ჰქვიან. კარგია გზაში, არც დაგცხება და არც ველოსიპედზე შემოგებნევა.

იპ!.. ელისიბედი რაღა შვილო? აქა გაქვს?

— აი ეს გახლავთ. ამით ვმოგზაურობ.

— მაგაზე როგო ჯდები გენაცვალე... ფეხი მაშინაა?!

— დიახ! ფეხით ვამუშავებ.

— მერე, სად იყავ? რას დადიხარ ამ ავდარში?.. შეიმშრალე პირი, გაცივდები... დაჯექ ემანდ ჩამოკუტქდი დედა-შვილობას და მომიყე დაწვრილებით.

დაეჯექ და ჩემ კეთილ მოსაუბრეს გავაცან ჩემი საქმიანობა. გავაგონე, რომ მე მუსიკოსი ვარ და რომ დავდივარ არღნებთან საბრძოლველად.

— ქა...ა...ა! ღმერთმა ხელი მოგიმართოს შვილო, შენცა და იმასაც, ვინც შენ გამოგზავნა!.. მერე იცი კი რა სიკეთეს იზამ? იხაროს შენმა ჯანმა გენაცვალე, იხაროს! ოღონდ ერთი შენ მაგის ოხტიდან მოდი, ოღონდ ერთი ეგ ძირიან-ფესვიანად ამოაგდე ქვეყნიდან, ოღონდ მაგის ჯავრი ამომყარე და იარე, იარე შვილო, რამდენიც გსურდეს... მაშ შენ არ გინდა რაღა, რომ არღნები იყოს?.. ხო...ო...ო? ეგრეა შვილო?

— დიახ ეგრე გახლავთ. თქვენ, თქვენ კი გინდათ, რომ არღანი იყოს?

— ა...ბა...ბა...ბა...ა! არა!.. არ მინდა შვილო! აბა მე მეჯავრება აი, თორემ შენ რა გიქირს: ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბრძანდები?

დედაბერმა ერთი მუჟა ბურნუთი ხელის გულზე წამოიყარა, დააწაფა მსხვილ ცხვირს და ერთი ყნოსვით შეისუნთქა. მიისრის მოისრისა ცხვირის ნესტოებზე, შეიმშრალა ცრემლები და შემომხედა



დასურათბატება მხატვ. ალ. ციმაკურიძისა.

— აბა ყური დამიგდე. აი შვილო-მომიციკადა ახლო, მუხლი ამოიკეცა, ზედ დაეყრდნო და ისე დაიწყო თავის დარღები.

— ერთი შვილი მყვანდა. ქვეყნად, იმაზე მეტი, არა-

ვინ გამაჩნდა. ქმარმაც თქვენი ქირი წაიღო, მასლიც გარდამეცვალა, მულებიც დავსაფლავე...

— ჩხრც! ჩხრც! ე! — დავაცემინე.

— შენ სიცოცხლე, იმათ ცხონება, შენ სიცოცხლე იმათ ცხონება, შენ სიცოცხლე შვილო, იმათ კი ცხონება — სამჯერ ჩამცხო დედაბერმა მუხლში, სამჯერვე წაჭკრა თითები ხის ფესვებს — მოიკითხონ თავის მტერი ლა დუშმანი... ბურნუთის ბრალია. რა ვქნა, სიმწარემ ამასაც მიმაჩვია.. ხო! იმას ვამბობდი... ქვეყნად ერთი შვილიღა შემრჩა და აი, შენ რომ იძახი არღნებო, სწორეთ იმ არღნებმა დამიღუპეს და გადამიღეს... აჰყვა შვილო, აჰყვა, თორემ ისემც შენ შერი შენ დედას, როგორც იმას არც ქეიფი და არც ლოთობა არ უყვარდა. აიყოლიეს შვილი და თანაც გადაჰყვა კიდევ... როცა საქეიფო ფული შემოაკლდებოდა, მოვიდოდა და თავზე ჯალათივით დამადგებოდა:



დასურათბატება მხატვ. ალ. ციმაკურიძისა.

— დედი, მომე ფული!.. მომე შე სულ აძლღებულო, თორემ დაგახრჩობ! — წამიჭერდა ხოლომე ყელში და მეც რა ჩარა მქონდა?.. ძალა არ შემწვედა, ღონე არსად იყო! ავდგებოდი და ვაძღვედი; ვაძღვედი შვილო და მიდიოდა, მიდიოდა და იკარგებოდა. მთელი დღეობით სახლში არ შემოდიოდა. ქეიფობდა, არღნებს აქმევდა, შემოეღეროდა და ისევ სულთა მზუთავივით თავზე წამომადგებოდა.

— აბა ჩქრა! გაღესე ფული, თორემ ემ წუთას დაგახრჩობ, — არღანი უნდა ვიყილო-ო!

— ვუი, ვუი!.. — წაიშინა თავში საცოდავმა — ნეტავ იყო ის დღე შვილო! მაშინ ცოცხალი მყვანდი, გიო! გიო შე გულმკვდარო! შე სიყრმე მკვდარო შვილო!.. აიტება და, რომ აღარ დადგა დეზენტინობაც მოუახლოვდა. მოუახლოვდა და წავიდა, — გავარდა ყაჩაღად.

კურღლეღლაურში, რომ სამი დუქანია, იქ უყვარდა მისვლა. იქ, რომ არღანი აყაყანდებოდა, მე ვიცოდი, რომ გიო ქეიფობდა...

მივიდოდი, საცოდავთ ავიტუზებოდი დარაბებთან და გამოუძახებდი:

— შვილო წამო-ვეხვეწებოდი, წამო, აგრემც თავე შემოგეველე-ვეხვეწოდი... — წამო, ისეთ ადგილას დაგმალე, რომ ქორმაც კი ვერ მიგაგნოს მეთქი... მაგრამ, ვის ეყურება?

— დედი, გამშორდი, გამანებე თავი! რა სამგლე გოქივით ამიტყდი? ო. სულ ამას ჩამჩინებდა და.. ვაი მე ნეტავ გავეჭრებოდე... და ვაი, მე ნეტავ გავწყალდებოდე! გიო, გიო!.. მოგიკედეს დედა, შვილო!..

დედაბერმა მოკეცილი ფეხი გაშალა, მიიბრუნა პირი კურღლეღლაურისაკენ და დაიწყო ტირილი მოთქმით, და დაიწყო ქეითინი გლოვით:

— გიო მომიკლეს გენაცვალეთ, გიო გამომისალმეს! შვილო ჯიხვივით აღზრდილო, მტრის თვალის დამყენებელო! ქოჩორო ხუჭუქა, ლამაზო, მხარ-ბეჭიანო, თავაზო! მხოლოდ გვირგვინი და გაკლდა გენაცვა! გვირგვინი!..



რათ მომიკალით, რათ! თქვე ღვთისაგან შეჩვენებულ-  
ლებო?! გიშრის თვალები რათ აუხსეთ შავი მიწით ჩემ გიოს?!  
დედაბერი მალე მოსულიერდა, თალხი მოსახვევის  
ერთი ბოლოთი მოიხილა ბურწითი, მეორეთი მოიმშრა-  
ლა მუდამ სველი, მაგრამ ჩამქალი თვალები, მის მოისო  
გაშხმარი ხელები დამქნარ სახეზე და კენესით ამოიხრა:

— მაშ შენ მტერი ხარ რაღა არღნებისა?

— დიხ, დედი!

— ხო!.. ეგრე, ეგრე გენაცვალე! არ აპყვე მაგ ფა-  
თერას!.. მაგის ნახახი უნდა გაჭკრეს, მაგის ნატამანი უნ-  
და ამოიფხენას. მაგან, ჩემსავით, რამდენს აუტირა დე-  
და? რამდენს დაუწიოკა წვრილ-შვილი?.. აი ეხლა, მა-  
გის ჭყატუნს რომ გავივებ, გული გადმომიქანდება ხოლ-  
მე და ლამის საბუდრიდან ძირ გადმოვარდეს. აბა, ის ხომ  
მკვდარია, ის ხომ აღარ ადგება, მაგრამ ისე მგონია გა-  
ცოცხლოდა, თავსე წამომადგა და ყელში მიჭერს— „ფული  
გადავიწერე არღნის უნდა ვიყილო“— ატრემლდა დედაბერი  
და აღმოცურდა.

შენი გედილო, ჩამავალ მზის უკანასკნელმა სხივებ-  
მა ამოაშოქა. ცახე ცისარტყელა არკალდა.

წამოვდექი ველოსიპედი შევამშრალე. დედაბერიც ამყვა.

— ეხლა თელავში მიხვალ შეილო? ვისთან დარჩე-  
ბი ამდამ?.. აბა, შენ იცი და შენმა კაცობამ, ღმერთმა  
გზა შეიღობისა მოგცეს. ემად ღუქანში არ მიბრუნდე, არ  
მიტრიალდე, შეტყუება იციან. პირდაპირ გაუჯავრდი ელი-  
საბედს-მაფთხილებდა სიმწარეში გამოცდილი დედა.

თელავამდის სწორეთ ორი ვერსი და დამჩხა. კურ-  
დღელაურის გზა რიყის ქვებით იყო მონაგვიანებული. პირ-  
შაღმა და ოღრო-ჩოღრო. ახლა ატალახებულყო კიდევ.  
სამ ღუქანს უახლოვდებოდი. პირშაღმა აღმართდე-  
ბოდა. ბარგი მიშლიდა, თვლების ტრიალი მიძნელდებოდა.

— ტან, დან, ტინ! ტა... დიდა, ტა... დიდა!  
ტიდა, და! ტამ, ტიმ, ტიმ! ტა... დიდა, ტა... დიდა,  
ტიდა, და! ტამ, დიმ, დიმ, დი... დიდა ტა, და, ტადა,  
ტიდა, დიდა, დიდა, და... ტორიო, რომ პო, ტარიო,  
რომ, პოტა, ტი, ტუ, ტა...!

— გეგეჭკორი, გეგეჭკორი, გეგეჭკორი ვა... აიპ! ვა-  
ხში სგოი სტო რუბლევი; სამ ტი რაზმინა... ა... აიპ!

შემომესმა არღნების ხმები. მიუახლოვდი.

„ტაბურეტკაზე“ ორი წყალში იჯდა, დანარჩენები,  
ზოგნი ისხდნენ, ზოგნიც გარშემო ტრიალებდნენ. ორი  
დანჯღრეული არღანიც სხვა და სხვა ზომის და სხვა და  
სხვა „ბენებს“, ერთი თავში და ერთი ბოლოში იდგნენ  
და თავის ენგიან რკინის კბილებით უსირცხვილოდ ღრია-  
ლებდნენ.

ალეშუოთდი, გავვიყდი, გადავირიე. მინდა ყუ-  
რებში თითი დავიცო, ველოსიპედიდან ჩამოვარდები, მი-  
ნდა ჩამოვიდე, ფეხით დიდხანს დავბანდებდი. მოვიკრიფე  
უკანასკნელი ძალ-ღონე, დავაწე საფეხურებს და თვლები  
გადავატრიალე.

— ყმაწვილო, ვერ ახვალ!.. მობრძანდი, დაგვლო-  
ცე! დაღლილს დენიო მოგიხდება.

— ტან, დან, ტინ! ტა... დიდა...

— გეგეჭკორი, გეგეჭკორი— მომჩხავიან არღნებიც.

— ვა!.. ნახე, არ დადვა?..

— ეს პირველია, აი?! სულ ხელით აჭკონდა.

— აღმართი უშლიდა?

გავცდი. ველოსიპედიდან ჩამოვარდი. მიგჩანადლი  
ქვის მთლებლეთან და საფლავის ქვაზე ჩამოვჯექი. თავზე  
წაკრული პირსახოცი მოვიხსენი. ოფლი შევიმშრალე. სა-

შინლად მიცემდა გული, საშინლად ღელავდა სული.  
ვილაცამ კოკით წყალი გამოატარა. ვთხოვე, დამა-  
ლევიანა. დავმშვიდდი. დავიწყე ფიქრი, დავიწყე ოცნება.  
მატარებელი გაჩერდა. მივედით კახეთის ნავთლოლში.  
ჩემ მუშაობას ვაგონებში მე აქედან ვიწყებდი ხოლმე.  
შევუდექი საქმეს.

გავხსენი ვიოლინო, ამოვალაგე „ფურცლები“ და  
გავწიე „აუდიტორიებში“.

ორში უკვე გავათავე, შევედი მესამე ვაგონში.  
მჭიდროობაა, ხმაურობაა, ღვინის სუნი სცემს ყო-  
ველ მხრიდან. ბული სახეში მცა.

— აბა დაწყნარდით! ჩუმათ იყავით!! — აშოშმინებს  
მგზავრთ ვილაც.

— მობრძანდით, მობრძანდით!

— ხურჯინებს წაფარეთ, ტიკები დამალეთ, — ქურ-  
ხული მოდის— დაფაცურდა მილიციონერი.

— დაუკა ყმაწვილო, საღა მიდიხარ?

— იმდღემდელი თქვი, ი კარგი იყო.

— შენ ჩუმათ იყავ, ეგ თითონ იცის, ჭკვას ნუ  
ასწავლი! — მომეგებნენ მგზავრები.

— უწინდელ დროში, კერბთაყვანის მცემლობის  
ხანაში— დავიწყე მე, როდესაც სიჩუმე ჩამოვარდა— ხალხ-  
ში სწავლა განათლება შედიოდა ქუჩებიდან და ეზოები-  
დან. მაშინ არ იყო სკოლა, არ იყო თეატრი და არც  
განთი. ყველა ამ დაწესებულებების მოვალეობას პირნათ-  
ლად ასრულებდნენ ქუჩაში მოხეტიალე მუსიკოსები და  
მგოსნები. გადადიოდნენ ერთ სოფლიდან-მეორეში, ერთ  
ქალ ...

— მიკიტანო, შენ გაა... ალე კარები...! კოლა მო-  
ვა, დაგიდგება თვალები!!

— ე...ე!.. დაყეთ.. დაყეთ!!.. რა დროს ეგ არის?  
ორთაქალაში ხომ არა ვართ?— წამოხტა ვილაც.

— ერთი ის\* და გვაკლია აქ! დაუძახეთ... შე-  
მოიყვათ „ჭრისტინე“ — მისცვივდნენ მეარღნებს.

— ვა... ა...ა?!.. რა იყო?.. რა მოხდა?.. რა ყანყრა-  
ტოში მოგვცვივდით?.. მაშ ხმა არ ამოვიღოთ?.. ჩვენი  
სიტყვაც ეს არის! თქვენ, თუ მაგით სიამოვნობთ, ჩვენც  
ამით ვახარებთ ჭიას.

— თქვენ ჭიას თავისი ადგილი აქვს. თქვენ სიამო-  
ნებასაც შესაფერი გარემოება მოუნახეთ. აქ კი არ ივარ-  
გებს... სირცხვილია, მანდილოსნები სხედან.

— არ შეიძლება, არა! — გაჭკვიან ყოველ მხრიდან.

— განავრძეთ ყმაწვილო, განავრძეთ. აღარ დაუკრა-  
ვენ— მეხვეწება ერთი.

ვაგონი დაწყნარდა, ჩამოვარდა სიჩუმე.  
მატარებელი მუხის შალალებზე მძიმედ მიხიხავდა და  
ყველას იტანდა, და ყველას უთმენდა.

ორ ახსნილ ყაფაზ შუა მეც მჭიდროთ ვიდექი და  
ყველას ვზვიერავდი და ყველაზე ველავადი.

ვილაცამ ფეხზე დამაბოტა, წინ გამიარა და თან გამიტანა.

— „მინავათ“! ვიწროობა გახლავთ-ბოდიშით შემო-  
მაჭყიტა დასიებული წითელი თვალები.

თავი ავწიე, ახედე და... ნეტავ არ ემეხედა: ჩემ  
თვალწინ იდგა ზაქვიით შავი „მა ბიჭი“ და მის ზურგს  
უკან ორი ფუნჯიანი არღანი.

მომავრდა თელავი, მომავრდა კურდღელაური და  
გზის პირას ჩასაფრებული სამი ღუქანი.

ილიკო ქურხული.

თბილისი, 23 მაისს 1919 წ.

საკავა სოფლად.

Presto.

სამ-ხმოვან  
გუნდისათვის.

მოს. ხა-მო-ღ-ქიო, ვა-ხა, ვა-ხა!  
ტა-ში ხა-ხა, ტა-ში-ა!  
ვა-ხა-ღე ვა-ხა-ღე

მუსიკა ზარ-სკრი.

ჩაწერილი ი. ქურხუ-  
ლის მიერ.  
სიტყვები გ. ქური-  
შვილისა.  
(იხილ. მე-4 გვერდზე).



ოთხ — ხმოვან გუნდისათვის, ანუ ორალი.

ქართული ებრაული ჰიმნი.

ფრანკოზო. 8/16, 2

მფ სა - ქაბ - თყ - რე - მონა - ვარ - ქან - ყუ - რე, ა - მი - რა - ნი მონა მი - ვა - ქუ - რე,

მფ Virace.

ყვავ ყო - რა - ნი მონ - ი - ვე - რე ახ - წიგს გუ - ლი გა - უბ - მი - რე სა - ქარ - თყ - რე.

Virace.

ყვავ ყო - რა - ნი მონ - ი - ვე - რე ახ - წიგს გუ - ლი

atempo.

გა - უბ - მი - რე მფ სა - ქაბ - თყ - რე მონა - თა ვან გვი - რე! რე!

მფ P PP dir

ჯვარის მონასტერი.

(ხალ. ლეგენდა).

ვის უნახავს ძველის-ძველი ჯვარის მონასტერი, რომლის გუმბათს თავს ევლება ნისლი მშვენიერი.

იგი დღესაც ისევე სდგას, როგორც იდგა წინათ: წარსულ დროთა მატანეთ, დიდების გვირგვინათ. დღესაც ისე ამაყად სდგას, როგორც იდგა წინათ.

შორის გზიდან ეს ტაძარი ისე მოსჩანს მთაზე, ვით ზღაპრული ციხე-კოშკი დაკიდული ცაზე; შორის გზიდან ეს ტაძარი ისე მოსჩანს მთაზე, რომ მგზავრის თვალს შეაჩერებს მისი სილამაზე!

თურმე უწინ ამ ტაძარში იდგა წირვა ღვთისა, მის სარკმელში მუდამ სჭკრეტდა სნივთა სვეტი მზისა, სასოებით გაისმოდა ლოცვა ვედრებისა... თურმე უწინ ამ ტაძარში იდგა წირვა ღვთისა და ზეცამდე აღიოდა ხმები ღაღადისა.

დღეს იქ სანთელს არეინ ანთებს, არც არავინ სწირავს, შიგ ლამურა მიმოფრინავს, მიკიოტი გმინავს; დღეს იქ სანთელს არეინ ანთებს არც არავინ სწირავს, მხოლოდ ქარი გარეწარი ავ სულივით ქმინავს.

ძველ თქმულობით ამ ტაძარში იყო ერთი ბერი, წმიდა მამას უწოდებდა ქრისტიანი ერი; ძველ თქმულობით ამ ტაძარში იყო ვინმე ბერი, თოვლიან ტყეს ჩამოჰგავდა მისი თეთრი წვერი.

წმიდა ჯვარის მონასტრიდან, მცხეთის მონასტრამდე, ხიდი იყო გადებული ღვთის და ცის რისხვამდე; წმიდა ჯვარის გუმბათიდან, მცხეთის გუმბათამდე, ჯაჭვის ხიდი ბჭყვრიალებდა ბერის წაწყმედამდე.

არავგი მოხმაურობდა ჯაჭვის ხიდის ქვეშა, გულ ხვეული მოღელავდა, ეხლებოდა კლდესა; არავგი მოხმაურობდა ჯაჭვის ხიდის ქვეშა, მის ხმაურში მოისმოდა დედა ქართლის კენესა.

ერთხელ ბერი ჯაჭვის ხიდით მცხეთას ვადიოდა, ხიდ ქვეშ ქალი ბანაობდა, წყალზე ქანაობდა, სითეთრით და სილამაზითა აფროდიტას სჯობდა, ტოლდა ეშხით ეხვევოდა, ვნებით ეკვრებოდა; ჯაჭვის ხიდით მცხეთისაკენ ბერი ვადიოდა, ხიდ ქვეშ ქალი ბანაობდა თრთოდა, უხაროდა.

თვალი მოჰკრა შიშველ ქალწულს და დაემა ბერი, ახველოსიკ არ უნახავს ესე მშვენიერი, ვით ის ქალი მოლივილივე, ქალი ტანშიშველი, სამაცდურო ცოდვის ქსელი, სიყვარულის ბსკერი, თეთრ გულ-მკერდზე უფეთქავდა ორი სებისკვერი, გაუშლელი ორი კვირტი, ორივე ხორბლის ფერი. ბერი ვნებით ჩააშტერდა წაწყმედ ძუძუებში, ჩაწყდა ჯაჭვი ჩაიღუპა არავგის ზვირთებში.

და მას შემდეგ სიყრუეა ჯვარის მონასტერში, საცეცხლურად ლამურები დაკიდულან ჭერში, აღარავინ არა სცხოვრობს დღეს იმ მონასტერში და ისაობა ყოველივე დრო და ჟამის მტკვრში; მხოლოდ რჩება ეს ლეგენდა უკვდავ ქართველ ერში.

გიორგი ქუჩიშვილი.

ცეკვა სოფლად.

ჩამოდექით, ვანი, ვანი! ტაში, ხალხო, ტაშია!! თეკლე, შენ კი გენაცვალე ე მაგ ბუზიკაშია! ბიჭოს! შენე ზენოსა, როგორ უფლის, როგორა! კაცს ავიყვებს ვნებითა ევ ძუძუებ კოკორა!

\* \*

ჩამოდექით ვანი, ვანი! ტაში, ხალხო, ტაშია, გენაცვალე თინანო, კოსტა დიარაშია! ოჰ, შენ კი მოგვხვიე ტანთა-ტანის რხევაში! ცრემლათაც დავეფრქვიე თვალთა ეშხის ფრქვევაში!

\* \*

ჩამოდექით, ვანი, ვანი! ტაში, ხალხო, ტაშია!! მაკა, წამლათ დეგენაყე, წითელ ნალარაშია! ტაში, ტაში ბიჭებო! გააჩაღეთ ტაშია!! გოგონავ, შენ გეთაყვანე ვაგლა-ვამოვლაში!

\* \*

ხალხო, ერთი უყურეთ, თედო რაყოფაშია?! ისე უფლის წრეშია, როგორც ქორი ცაშია! ტაში, ტაში, ქალებო! დაუკარიო ტაშია!! ზნო თედოს ეკლავნება, ისარს უყრის თვალშია!

\* \*

სწორეთ ყარამანია, აკალთულ ჩოხაშია! ბეგრი გოგო დაადნო, თავადურ ცეკვაშია! ტაში, ტაში, ქალებო! გააჩაღეთ ტაშია!! ბიჭო, შენ კი შემოგველოს კუპრაანთ მაშია!

\* \*

ვანი, ვანი, ბიჭებო! ტაში, ქალო, ტაშია!! წიკო, წიკო, ვარსენიკო, — უკრავს ბუზიკაშია! დიმ, დიმ, დიმ დამფი-დაბრუ, — ურტყამს დიარაშია! დიპტი, დიპტი, დაპტი — პიტუმ, — ისმის ნალარაშია!

გიორგი ქუჩიშვილი.

რედაქტორ — გამომცემელი: ილიკო ქურბული.

ულკმის მაღლობას ვფირავ თბილისის ცენტრალურ კოოპერატივთა კავშირს, გორის და შუთაისის სამაჟრო ვარგებს, ირაკლი ჯიჯავაძეს და აზრეთვე ჩემ მსმენელთ, რომელთა დახმარებითაც მომეცა საშუალება ამ ნომრის გამომცემისა. რედაქტორი.

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ორხევის შესახვევი, № 7.

ქუთაისის სამაზრო ერობის სტამბა.